ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული“

განთიადი

88-ე წელი თქვენთან ერთად!

2019 წელი 28 ივნისი № 6 № 8147

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

ჰანიბალი არასდროს აკაკუნებს

ანუ ისევ თავისუფლების სიმძიმეზე

როგორც ადამიანის, ასევე ქვეყნის ცხოვრებაშიც დგება ეტაპი, როდესაც იწყება უცნაური რამ — მორალური, ზნეობრივი და უბრალოდ ადამიანური ვითარებები ისეა არეული, თითქოს მოვლენათა განვითარების ლოგიკა გამჩენისათვის აუცილებელი არ იყოს და მას უფლება ჰქონდეს ეკლექტიზმი ლოგიკად ჩათვალოს და ამის მიხედვით შეიქმნას რეალობა.

სულ უფრო ხშირად გვიწევს შეხსენება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ყოვლისმომცველ ოცნებაზე შენდებოდა ქვეყნის განვითარების, აღორძინების, გნებავთ არსებობის ყველა რეალობა. თუ გავიხსენებთ რამდენმა ღირსეულმა მამულიშვილმა ჩაიტანა საფლავში ქვეყნის დამოუკიდებლობის ვერახდენილი ნატვრა, უცებ გაგვახსენდება ჩვენი თავი იმ დროს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად მართლაც, და ყველაფრისათვის ვიყავით მზად (მედროვეები ნუ შემედავებიან!)

სამშობლოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებეები რიგიანად არც კი ვფიქრობდით ჩვენს პიროვნულ ადგილზე იმ საოცნებო საქართველოში; ალბათ, მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან საუბრისას თუ გვიფიქრია, რომ ნებისმიერ სამყაროში (ვიგულისხმოთ ის, როგორიც გვინდა) თავისუფლება ესაა გონიერი მოქმედების უფლება. თავისუფალი ვარ ე.ი. როგორც არ უნდა გიჭირდეს, უნდა მოიძიო საკუთარი ქმედების ნორმა და საკუთარ თავზე უნდა აიღო თავისუფლების სიმძიმე.

ჩვენ ისევ რუსთაველზე ვდგავართ. და როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა მიჭირდეს, როგორც არ უნდა მეშინოდეს, მაინც ვფიქრობ — იძენს თუ არა რაოდენობრიობა თვისებრიობის ხარისხს?

მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთობლიობა ქმნიდა და ქმნის თანამედროვეობის დროულ სურათს. გაჭირვებისას თითოეულზე ცალკე ფიქრი ხალიჩაზე ფერის გარჩევას ჰგავს, თუ რეალობის აღქმაა საჭირო — სამივე უნდა დავინახოთ სრული არსით.

შთამომავლობისათვის უმთავრესია იცოდეს, რასა აქვს მამულიშვილისათვის მუდმივი ღირებულება — ადვილ წარმატებას თუ თანამედროვეობის მიერ შექმნილი ქვეყნის ეთიკურ და ზნეობრივ არსს?

ქართველისათვის მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება მრავალმხრივად საინტერესო იყო. თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ურთიერთობის საშუალება, მეტიც, ვიდრე პოეტური მეტყველების იარაღი. ამიტომაც თავგამოდებით ვიბრძოდით ამ ღვთაების თავისთავადობისა და შეურყვნელობისათვის. მეტყველების გამართულობა რომ განათლების და განსწავლულობის მაჩვენებელია იმედია, ამაზე არ ვიდავებთ (ქვესათქმელს ისევ განსწავლულნი მიმიხვდებიან!)

ცხადად ვიციით - იყო ისეთი დროც... წინაპართა ნაგებ ეკლესია-მონასტრებში "სტუმარი-მასპინძელის" უფლებით ხატები გადაგვილებეს, გაგვითეთრეს, "გაგვილამაზეს"... მერე დარჩენილი ეკლესიებიდან მრავალი "საკუთარი ხელით" დავანგრიეთ, მერე უმადურმა სტუმარმა ზურგში დანა ჩაგვარტყა და ენის წართმევა მოგვინდომა, სამაჩაბლოც ოსეთად მოიჩვენეს, აფხაზეთი ერთმორწმუნე, მდიდარი მეზობლის სააგარაკოდ თითქმის აქციეს ...

ორიათას წელზე მეტია, ქადაგებს უფალი — უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს, ამოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობესია არ გქონდეს იგი, ვიდრე მთელი სხეული შთანთქას გეენიამ, გიყვარდეს მოყვასი შენი, თუ მოყვასს სურდეს პერანგი შენი, მიეცი მას სამოსელი... გადადიოდა უფალი ჩვენს წინაპრებში სიტყვით, სიკეთით, სიყვარულით... მაგრამ "ჰანიბალი ჭიშკართან იდგა" და მისი მცდელობით ხშირად ცხოვრება დისპროპორციულ სარკეში დანახული რეალობა ხდებოდა, ისეთი, თეატრის დაბადების გარიჟრაჟზე რომ მოიგონეს ემოციის გასამძაფრებლად, მნახველთა გასაოცებლად, შესაშინებლად, დასამორჩილებლად, მათზე საბატონოდ — ეს პარადოქსი კი არა, ქართველთა ბედისწერა იყო.

იღბალს მინდობილმა ქართველებმა ყოველთვის იცოდნენ (ან იქნებ გრძნობდნენ!), რომ არ არსებობს მოქმედება თავისთავად გამოთიშული გარემოდან და ჩვენი მორალური წარმოდგენებიდან, ამიტომ ზრუნავდნენ ერისკაცები მორალურ წარმოდგენათა დაწმენდასა და გარეალურებაზე.

საზოგადოჭირი ნათლად აჩენდა ენის, მამულის ცხოვრება-განვითარების ეტაპს. ამასთან, სარწმუნოების დაცვა ქართველობის დაცვას ნიშნავდა. ყოველივეს ერთობლიობა ქმნიდა ცხოვრების გზას, რომლითაც ერიც და ქვეყანაც ღმერთთან მიდიოდა.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველისათვის რომ გეკითხათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რისი გაკეთება შეგიძლიაო? დამერწმუნებით, ვერ მოიძიებდით თავდადების უნაპირო ზღვარს. დამოუკიდებლობის მოპოვება მაინც აუხდენელ ოცნებათა რიგს განეკუთვნებოდა.

მტერი იმდენად მოუხელთებელი და ვერაგია, ჩვენ ისევ ნაცნობ სიმართლეს ვამტკიცებთ. არა და, როგორც ყოველთვის "ჰანიბალი ჭიშკართან დგას"

ნ. მერებაშვილი.

ტრენინგი ახალგაზრდა მეწარმეების გასაძლიერებლად

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის და უესაიდის "ზრდას" ახალგაზრდულ სამეწარმეო პროექტის ფარგლებში - კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში ორდღიანი ტრენინგი გაიმართა. პროექტის მიზანი მეწარმეობის მეშვეობით - საქართველოს რეგიონებში (სოფლად) მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერებაა. ტრენინგის მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში აქტიურობა გამოიჩინეს და მნიშვნელოვანი იდეების შესახებ იმსჯელეს. ჯგუფი მოტივირებული და ინოვაციური იყო - აღნიშნა ტრენერმა ნანა ქვრივიშვილმა.

ტრენინგების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს საშუალება აქვთ წარმოადგინონ სამეწარმეო იდეები 4 მიმართულებით: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინოვაცია/ტექნოლოგიები და შემოქმედებითი ინდუსტრიები.

მეორე ეტაპზე, მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ტრენინგების შემდეგ, 15 საუკეთესო სამეწარმეო იდეის (საპროექტო წინადადების) ავტორი ან ავტორთა გუნდი (მაქსიმუმ 3 ადამიანი) მიწვეული იქნება თბილისში, სამეწარმეო-სასწავლო ბანაკში, სადაც გაივლიან დამატებით, ინტენსიურ ტრენინგებს წარმოდგენილი სამეწარმეო იდეების ბიზნეს პროექტებად გადასაქცევად.

ბანაკის დასრულებისთანავე, ჟიური გამოავლენს 3 გამარჯვებულ ბიზნესპროექტს, რომლებიც დაჯილდოვდებიან 10 000, 8 000 და 6 000 ლარის საგრანტო თანხით.

პროექტი ხორციელდება 3 ფაზად და მიზნად ისახავს შემდეგი შედეგების მიღწევას: საქართველოს რეგიონებში მცხოვრები სულ მცირე 500 ახალგაზრდის გადამზადებას მეწარმეობის თემაზე და სულ მცირე 5 საწარმოს შექმნას, რომელიც ჯამში 25 ადამიანს დაასაქმებს.

სასმელი წყლის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს 800 მ3 რეზერვუარის, საქლორატოროს, მაგისტრალის მილსადენის, გამანაწილებელი ქსელის და ღობის ლითონის გალვანიზირებული ბადით მოწყობას.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს "სპეცჰიდრომშენი" ასრულებს. პროექტის ღირებულებაა 507108 ლარი. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ სოფლის მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება.



დამანახე შენი სოფელი

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტის “დამანახე შენი სოფელი”-ს მონაწილეები და გამარჯვებულები დააჯილდოვა.

“მომავლის სოფელი”-ს დამფუძნებლის, მწერალ გურამ მეგრელიშვილის ინიციატივით შიდა ქართლის გუბერნიამ საინტერესო პროექტი “დამანახე შენი სოფელი” წამოიწყო. პროექტის იდეა იყო თითოეულ მოქალაქეს საკუთარი თვალით დანახული სოფელი წარმოეჩინა.

კონკურსში კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამისყანის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილმა პროექტმა გაიმარჯვა.

კასპის მუნიციპალიტეტიდან 13 საჯარო სკოლის 43 მოსწავლე მონაწილეობდა.

სიგელები და საჩუქრები მონაწილეებს კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა გადასცა და მადლობა გადაუხადა აქტიურობისათვის.

პროფესიული კოლეჯი შენდება

კასპში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტებიდან 200 სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი, სრულად ადაპტირებული პროფესიული კოლეჯის მშენებლობა გრძელდება. თანამედროვე სტანდარტების პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამები რეგიონში მოთხოვნად პროფესიებს ეფუძნება.

კოლეჯის მშენებლობა წელს დასრულდება და პროფესიული განათლების მიღებას შეუწყობს ხელს.

სასწავლებელში რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის მიმართულებისა და მასთან დაკავშირებული დარგების - ვეტერინარიის, მექანიზაციისა და მებაღეობა-მეხილეობის სპეციალისტები მომზადდებიან.

ასევე მომზადდებიან ელექტროშედუღების, ხარატის, მაღალი ძაბვის ელექტროობის, ელექტროსამონტაჟო სამუშაოების, ამწის ოპერატორ-მემანქანის სპეციალისტები.

სასწავლებელი ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ცენტრალური სტადიონის მშენებლობა

კასპში გრძელდება ფეხბურთის ცენტრალური სტადიონის მშენებლობა და საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია. ხელოვნურსაფარიანი მოედნის წინა მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ამჟამად მაყურებელთა ტრიბუნის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც 560 მაყურებელზეა გათვლილი. მოეწყობა 4 გასახდელი, სამსაჯო, სამედიცინო და დელეგატის ოთახები, სტადიონზე დამონტაჟდება განათების თანამედროვე სისტემა. აღდგება ცენტრალური სტადიონის მიმდებარე მინი მოედანიც.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტში აქტიურ ჩართულობას.

“სოფლის მხარდაჭერის” პროგრამა წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულში

წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელში “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამის ფარგლებში 10 პროექტი განხორციელდება. დაგეგმილია გზების მოწესრიგება, გარე განათების სისტემის მოწყობა და სარწყავი სისტემის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია.

სოფელ იდლეთში ამჟამად სარწყავი სისტემის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. დაზიანებული ადგილები ანაკრები რკინა-ბეტონის კიუვეტებით ეწყობა. სამუშაოს შპს ”მშენებელი 2013" ასრულებს.

დოესის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

სოფელ დოესში გრძელდება ორსართულიანი საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. შენობაში ამჟამად ცენტრალური გათბობის გაყვანილობის სამუშაოები მიმდინარეობს.

დასრულებულია სასმელი წყლის და წყალარინების სისტემის მოწყობის, კარ-ფანჯრების შეცვლის, შიდა და გარე ფასადის შელესვის სამუშაოები.

სოფლის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინდმეწარმე კახა დათაშვილი ასრულებს.

აღსაზრდელები და პედაგოგიური კოლექტივი ახალ სასწავლო წელს კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღის შენობაში შეხვდებიან.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის მშენებლობა

სოფელ წინარეხში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის მშენებლობა გრძელდება.

ამჟამად რკინა-ბეტონის სალექარის და რკინა-ბეტონის საფილტრაციო ნაგებობის მოწყობა მიმდინარეობს - აღნიშნა წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ესტატე აბულაძემ.

მდინარე კავთურის ხეობიდან ე.წ. პარატიისის ბუნებრივი წყაროებიდან ახალი, 4 496 გრძივი მეტრი მაგისტრალი უზრუნველყოფს - სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს ,,კაპიტელი’’ აწარმოებს, პროექტზე 427 535 ლარი იხარჯება. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ივანწლოიანს და წარმოებინ გვირგვინით შემკული

სახელოვანი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 143 წლის იუბილეს მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც ხოვლის სახლ-მუზეუმში ჩატარდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მეცნიერის მშობლიურ სოფელს უამრავი სტუმარი ეწვია... აქ იმყოფებოდნენ დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები, მეცნიერები, ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარები, რეგიონისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი მუშაკები, ხოვლის საჯარო სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები, პედაგოგები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და ხოვლის სახლ-მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ხოვლის სახლ-მუზეუმის მენეჯერმა მარინა კოშაძემ, რომელმაც შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საფუძვლიანად მომზადებული თემა სახელწოდებით – "ივანე ჯავახიშვილი, როგორც დიდი მოღვაწე და მამულიშვილი". მან თავის გამოსვლაში ვრცლად, საინტერესოდ ისაუბრა ივანე ჯავახიშვილზე, როგორც დიდ ისტორიკოსზე – თანამედროვე ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელზე... ვრცელი მოხსენება "ივანე ჯავახიშვილისა და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მიმოწერა" – წაიკითხა ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმის მენეჯერმა სოფიო ცუცუნაშვილმა. შთამბეჭდავი და ძალიან საინტერესო იყო სტუმართა გამოსვლები, რომელთა შორის იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი დავით სართანია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, რომელმაც ხოვლის სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა წიგნები. ღონისძიებას ესწრებოდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი, მისი მოადგილე ზაზა მარიდაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე... შეხვედრის მონაწილეებს, მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ.

ღამე მუზეუმში

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო აქცია ეგიდით – "ღამე მუზეუმის ფარგლებში", რომელიც თავისთავად მოიცავდა ძალიან საინტერესო ღონისძიებებს, კერძოდ, საგამოფენო დარბაზში მოეწყო ფოტოგამოფენა "ჩვენი მუზეუმი", აგრეთვე, აქვე იყო წარმოდგენილი ხელნაკეთი თოჯინები, მოეწყო ლექცია-საუბრები... საინტერესო იყო ნანა მელაძის მიერ წაკითხული პატარა მოხსენება თემაზე: "ქართული სუფრის" ტრადიციები.

აქციის საუკეთესო, ხალისიანი ნაწილი გახლდათ ვიქტორინა – "გავიგოთ მეტი ჩვენი მხარის შესახებ", რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ვიქტორინას უძღვებოდა მუზეუმის თანამშრომელი ლანა თათანაშვილი, შედეგები შეაჯამა ჟიურიმ, რომლის წევრები იყვნენ ლიანა ბალხამიშვილი, ნელი ნიაზაშვილი და ალექსი მერებაშვილი. ინტელექტუალური შეჯიბრის გამარჯვებული გახდა კასპის მესამე საჯარო სკოლის /დირექტორი მარინა ქონიაშვილი/ გუნდი "დიონისე", რომელიც დაჯილდოვდა სიგელით და საჩუქრად გადაეცა წიგნები. ცნობილი გახდა ისიც, რომ ვიქტორინაში მონაწილე გუნდებისათვის მოეწყობა ექსკურსია მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებაში შემავალ ყველა მუზეუმში.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ და მუზეუმების საერთაშორისო დღე მიულოცეს მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ და მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა... სიტყვებით გამოვიდნენ: პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი მარინა მენაბდიშვილი, მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი ქეთევან ხითარიძე, პედაგოგები ნინელი ყაზარაშვილი, ნინო ხერკელაძე, მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი მაია ჯაბაური. დაისვა ვიდეოშეკითხვები, რომლის ავტორები გახლდათ გიორგი ჩადუნელი, ოლია მახარაძე, მარინა ქონიაშვილი, მანანა ყაბანაშვილი და ნინო ხერკელაძე.

აქციას სტუმრობდა არასამთავრობო ორგანიზაცია "დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა ორგანიზაცია", რომელმაც მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოაწყო პრეზენტაცია სახელწოდებით "გაიცანი ევროპა და განავითარე შენი რაიონი, ქალაქი".

ახდენილი ოცნებების დღე

გასული საუკუნის დასაწყისში ჟენევაში გამართულ ბავშვთა კეთილდღეობის მსოფლიო კონფერენციაზე პირველი ივნისი ოფიციალურად გამოცხადდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ. მას შემდეგ მოყოლებული მთელ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც აღინიშნება ეს დღე... იმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ეწყობა საზეიმო კონცერტები და სანახაობრივი, თეატრალიზებული წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები და ამ გრანდიოზულ საზეიმო მარათონში დიდი ხალისით მონაწილეობს მთელი საზოგადოება.

აი, სწორედ ასე იყო კასპშიც, პირველ ივნისს ჩვენი ქალაქის ცენტრში თავი მოიყარა დიდმა თუ პატარამ, მოსწავლე-ახალგაზრდობამ, კულტურის სახლის წინ, ღია ცის ქვეშ საზეიმოდ მორთულ სახელდახელო არენაზე თავს იწონებდნენ ბრჭყვიალა სამოსში გამოპრანჭული გოგო-ბიჭები.

... ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი “ახალი განთიადი”. ერთი სიტყვით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ ეს დღე დაუვიწყარი, ლამაზი ყოფილიყო და ამიტომაც თავს კომფორტულად გრძნობდნენ პატარები, არა მხოლოდ ისინი, მათი მშობლები და ზეიმზე მოსული სტუმრებიც.

პატარების გულის გასახარად საგულდაგულოდ მორთული გასართობი სივრცე, რომელიც განთავსებული იყო კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მარტო ბავშვების ინტერესსა და ყურადღებას როდი იპყრობდა, დიდებიც თვალს ვერ აშორებდნენ ათასნაირ ატრაქციონებს, აქ ნახავდით სასრიალოებს, მხიარულ მანქანებს, ხოლო პატარების უსაყვარლესი “ბატუტი” მთელი დღის

განმავლობაში მსურველებს ველარ აუდიოდა, ბავშვებსა და სტუმრად მოსულ მოყვარულებს განსაკუთრებულ, ხალისიან განწყობას უქმნიდა დაუვიწყარი, პატარებისათვის საყვარელი ზღაპრის გმირების ოხუნჯობები, ბოლო არ უჩანდა სპაიდერმენის, ბეტმენის, ჰელოუ ქეთისა და ჯამბაზების სასაცილო, სახალისო წარმოდგენებს, სხვათა შორის, პოპულარული ზღაპრების გმირებს კომპანიონობას უწევდა სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის მოწვეული წამყვან-ანიმატორი...

ღონისძიების ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი ნაწილი გახლდათ საზეიმო კონცერტი, სადაც პირველობა არავის დაუთმეს ჩვენი ქალაქის საბავშვო ბაღების ნიჭიერმა და აქტიურმა აღსაზრდელებმა, რომლებმაც წინასწარ შედგენილი საზეიმო სცენარის მიხედვით წარმოადგინეს მუსიკალური და თეატრალიზებული სანახაობები, ზეიმისთვის შესაფერისი სიმღერები და ცეკვები. ბავშვები თავს იწონებდნენ ქორეოგრაფიული და თანამედროვე ცეკვებით, ამ მხრივ ყველას მოწონება დაიმსახურეს პატარა ბარბარე მამულაშვილმა და ალექსანდრე კვარაცხელიამ, მხატვრული კითხვით თავი გამოიჩინეს ბარბარე ჩარაევმა და ანა თამარაშვილმა, ლუკა ხიზანიშვილმა, აპლოდისმენტები დაიმსახურა კულტურის სახლთან არსებული საესტრადო სიმღერების /წრის ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი/ შემსრულებელმა მაკო კელაპტრიშვილმა.

ღონისძიების მშვენება გახლდათ აკრობატული ჩვენება და ეს ლამაზი სანახაობა წარმოადგინეს პატარა ტანმოვარჯიშეებმა ბარბარე ჭიტაძემ და ნუცა ბურდულმა...

პატარებისა და უფროსების საზეიმო მარათონს სტუმრობდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები... ბავშვებს, მათ მშობლებსა და კონცერტში მონაწილე შემსრულებლებს გულითადად მიესალმა და მიულოცა ეს ლამაზი დღესასწაული კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ.

დღის ბოლომდე ისმოდა ქალაქის ცენტრში ბავშვების ჟივილ-ხივილი, ხალისიანი განწყობა, მუსიკის ხმა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

„საამილახვრო„ — ფინალურ ტურში

საქართველოს მასშტაბით გამართული ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეხუთე ეროვნული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის ანსამბლი “საამილახვრო”, ჩატარდა ქალაქ გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დარბაზში.

— ვიცოდით, რომ აღნიშნული კონკურსის პირველი ტური ჩვენთვის გადამწყვეტი იქნებოდა და ამისათვის საფუძვლიანად ვემზადებოდით, — საუბრობს ანსამბლ “საამილახვროს” ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი, — ამავე დროს მადლიერებით მინდა აღვნიშნო კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკების ჩვენდამი დიდი დახმარება, რომ არა მათი მხარდაჭერა, ძალიან გაგვიჭირდებოდა, სწორედ საერთო ძალისხმევით, ხელშეწყობით ჩვენმა ანსამბლმა სასურველ შედეგს მიაღწია.

მოკლედ, ანსამბლის საინტერესო რეპერტუარმა, მისმა უძველესმა ხალხურმა მუსიკამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გუნდის ორიგინალურმა შესრულებამ ერთობ მოხიბლა კონკურსის კომპეტენტური ჟიური და ამდენად, “საამილახვროს” გამოსვლა შეფასდა 95.5 ქულით. ერთი სიტყვით, შიდა ქართლის ტურის წარმატებულად გავლის შემდეგ ”საამილახვრო” გადავიდა ეროვნული კონკურსის მეორე, ფინალურ ტურში.

საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ფინალური ტური გაიმართა ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე

დასასრული გვ-8.

გზა სკოლისაკენ

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მთავარი დანიშნულება გახლავთ საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ინტელექტუალურ განვითარებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს ბავშვის სასკოლო სრულფასოვან მომზადებას. კარგად მოგეხსენებათ ისიც, რომ ბავშვის 5-6 წლამდე პერიოდი წინ უსწრებს სასკოლო ასაკს და ცხადია, ამიტომაც ეწოდება ამ პერიოდს სკოლამდელი...

გზა სკოლისაკენ – პირობითად ასე უწოდეს აქტივობას, რომელიც 30 მაისს გამართეს კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის /გამგე თამარ ხოკრიშვილი/ უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებმა, რომელთა თითქმის საათნახევრიანი გამოსვლა ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ პატარებსა და მათ მშობლებს, ახლობლებს და რასაკვირველია, აღმზრდელ პედაგოგებს. არადა, ბავშვებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, ბაღის გამოსაშვები ღონისძიება ერთგვარი რიტუალიც არის, რადგან ამ ზეიმისათვის ხომ საგანგებოდ და განსაკუთრებულად ემზადებიან ბავშვებიც და მასწავლებლებიც, თქვენ წარმოიდგინეთ, მშობლებიც...

– არნახული სულისკვეთება, ენთუზიაზმი, განწყობა უსწრებდა წლევანდელი გაცილების ღონისძიების სამზადისს, – აცხადებს ჯგუფის აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი, – მარტო ის რად ღირს, რომ მშობლებთან მხოლოდ ერთხელ შეხვედრაზე, უპრობლემოდ გადაწყდა ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი საკითხი, პატარებისათვის საზეიმო სამოსის შეძენა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოწადინებული და ორგანიზებულები იყვნენ, რომ ბავშვებს დროულად ჰქონოდათ ახალთახალი სამოსი.

სპეციალურად გამოსაშვები ზეიმისათვის დაწერილი ლამაზი სცენარის მიხედვით მიესალმნენ აღსაზრდელები მოწვეულ სტუმრებს, თანატოლებსა და აღმზრდელ-მასწავლებლებს, მშობლებს. ზეიმში მონაწილე 28 აღსაზრდელიდან წელს 20 ბავშვი პირველად შეაღებს სკოლის კარს და თითოეული მათგანი მომზადებული და მობილიზებულია, იმ უნარჩვევების მატარებელია, რომელიც უნდა ახასიათებდეს სასკოლო ასაკის პატარას. ბავშვების ეს თამამი, კარგად მომზადებული და სათანადოდ შესწავლილი შესაძლებლობები ნათლად გამოჩნდა ამ ღონისძიებაზე, რომელსაც ერთობლივად ამზადებდნენ ჯგუფის მუსიკის მასწავლებელი ნინო მერებაშვილი და აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი, მისი თანაშემწე ლელა შალუტაშვილი, მეთოდისტი ეკა ქარჩავა... ამიტომაც იყო, რომ ზეიმზე წარმოდგენილი სიახლე, რომელიც გამოიხ-

ატა შემეცნებითი კუთხით, ცეკვა-თამაშითა თუ ლექსის წაკითხვით იყო დამაჯერებელი, შთამბეჭდავი.

– დღევანდელი ღონისძიება არ იყო მხოლოდ გაცილების დღესასწაული, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ აქ ნათლად გამოიკვეთა ის დამოკიდებულება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრეულ ასაკში ბავშვისათვის კომფორტულ და სწორ, მიზანმიმართულ სასწავლო-სააღმზრდელო სწავლებას, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა მანანა ხვთისიაშვილმა, – ამ თვალსაზრისით ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი და მივიღეთ საუკეთესო შედეგი. ბავშვებს გზა დაულოცა სკოლისაკენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ.

ქალაქის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში

ქალაქის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში წელს ორი გამოსაშვები ჯგუფი ფუნქციონირებდა, /სულ 45 აღსაზრდელი/ მეორე ჯგუფის /აღმზრდელები ელიზა ბაშარული და ირმა მილაძე, თანაშემწეები ლალი მახარაშვილი და მაია ხოსრიაშვილი/ გამოსაშვები ღონისძიებაც ლამაზად და ორგანიზებულად ჩატარდა, ზეიმს ბევრი სტუმარი ესწრებოდა, რომელთა შორის იყვნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენლები, აღსაზრდელების მშობლები. გაცილების ღონისძიებაზე სულ 30 აღსაზრდელი მონაწილეობდა და მათგან 25 ბავშვი დაემშვიდობა საყვარელი ბაღის კედლებს... პატარებს სიმღერით მიულოცეს ბაღის დამთავრება აღმზრდელებმა ელიზა ბაშარულმა და ირმა მილაძემ, აგრეთვე მუსიკის მასწავლებელმა ნინო მერებაშვილმა, მეთოდისტმა ეკა ქარჩავამ... მათთან ერთად ილხენდნენ ბავშვებიც. სტუმრებისა და თანატოლების ყურადღება მიიქციეს პატარებმა, რომლებმაც მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება სიმღერებით, ცეკვებით, ლექსებით, ერთი სიტყვით, იყო ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიება.

– ტრადიციულად წელსაც ველოდებით ახალ შევსებას და საბედნიეროდ, გვაქვს კარგი მოლოდინი, – განაცხადა ბაღის გამგემ თამარ ხოკრიშვილმა, – ისე რომ ბაღში დანერგილი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა, აქ მიღებული ცოდნა დიდად ეხმარება ბავშვებს სკოლის მასალის დაძლევასა და სკოლასთან ადაპტირებაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, გაერთიანების სპეციალისტი ნათია შუკაკიძე. დასასრულ, აღსაზრდელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სამახსოვრო ალბომები.

სადგურ მეტეხის ბაღი

ამ სამიოდე წლის წინ სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა დროებით / მათ ბაღში სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები დაიწყო/ კასპის პირველ საბავშვო ბაღში დაიდეს ბინა. ამიტომაც, სპეციალურად მათთვის გამოყოფილი ტრანსპორტით ბავშვები ყოველ დილა-საღამოს სადგურ მეტეხიდან დადიან კასპში. კომბინირებული ჯგუფი, რომელიც შედგება 28 აღსაზრდელისაგან /აქედან სასკოლო ასაკის მხოლოდ 4 ბავშვია/, მთელი სასწავლო პერიოდის გან-

მავლობაში აქტიურად, გეგმიური განრიგის მიხედვით იქცევდა სპეციალისტთა ყურადღებას.

ახალი სეზონის დადგომას, ყოველ სადღესასწაულო თარიღს პატარები დიდი ენთუზიაზმითა და საზეიმოდ აღნიშნავდნენ, ამას, რასაკვირველია, წინ უსწრებდა მოსამზადებელი რეპეტიციები.

სულ ახლახან კი, პატარა აღსაზრდელებმა / აღმზრდელი ნინო წერეთელი, მისი თანაშემწე მერი ფირანიშვილი, მუსიკის მასწავლებელი ნინო ბიჭიკაშვილი/ თანატოლებს გაცილების აღსანიშნავი აქტივობა გაუმართეს... მართალია, ამ ღონისძიების ცენტრში იყვნენ ქრისტინე ნადირიანი, დავით ნორზალოვი, ოთარ კალატოზიშვილი და დანიელ ბოლქვაძე, რომლებიც მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მიდიან, მაგრამ ამ დაუვიწყარ შეხვედრაზე მთელი ჯგუფი აქტიურობდა.

ბავშვებმა ცეკვა-სიმღერის გარდა ღონისძიებაზე ლიტერატურულ-შემეცნებითი სფეროც წარმოაჩინეს, ლაკონურად, ამავე დროს მარტივად წარუდგინეს ზეიმზე მოსულ სტუმრებს, მშობლებსა და აღმზრდელ-მასწავლებლებს სამშობლოს, დედა ენისა და მოყვასის სიყვარული.

– კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი "სტუმრობა" კასპში, მართალია, ჩვენი მასპინძლები ყოველნაირად გვიწყობენ ხელს, მაგრამ დამეთანხმებით, ალბათ, რომ საკუთარს არაფერი შეედრება, – საუბრობს სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღის გამგე მარიამ გეჯაძე, – წესით ახლა მეტეხში უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ჯერჯერობით ისევ აქ გვიწევს ყოფნა, თუმცა, გვპირდებიან, რომ მომავალ წელს აუცილებლად მოგვიხდება შინ დაბრუნება.

გაცილების აქტივობის ბოლოს სასკოლო ასაკის ბავშვებს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ბაღის დამთავრების სამახსოვრო ალბომები.

კასპის მუიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

იკითხეთ "ახალი განთიადი"

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკვალევზე

კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა ლექცია - საუბარი "საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა", მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის 101 წლისთავისადმი. სტუმრად იყვნენ: მირიან ხოსიტაშვილი - საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ეთნოგრაფი, ანტონ ვაჭარაძე - ისტორიკოსი, საარქივო და საბჭოთა კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი, ირაკლი ვეშაგურიძე - საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ისტორიკოსი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაზა მარიდაშვილი, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი, ჩვენი ქალაქის ღირსეული პედაგოგები, ისტორიკოსები დალი ხაჩიძე, ნინო ბურდული, კასპის საჯარო სკოლებისა და სკოლა - გიმნაზიის უფროსკლასელები, საზოგადოების წარმომადგენლები.

ლექცია - საუბარი შესავალი სიტყვით და სტუმართა წარდგინებით გახსნა ლია მენაბდიშვილმა. დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა მირიან ხოსიტაშვილი - საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ეთნოგრაფი; ძირითადმა მომხსენებელმა ანტონ ვაჭარაძემ მიმოიხილა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პრეისტორია, შემდგომ ისაუბრა პირველი რესპუბლიკის ისტორიაზე და თავის გამოსვლაში შეეხო პირველი რესპუბლიკის მთავრობის დამხობის შემდგომდროინდელ საქართველოს ისტორიასაც.

მიმოხილვა გამყარებული გახლდათ ვიზუალური მასალით: საგამოფენო ფოტოსურათებით და საპროექციო ფოტომასალით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ღონისძიებაზე ჩამოტანილი ფოტო-მასალა რამდენიმე დღე გამოფენილი იყო საქალაქო ბიბლიოთეკის დარბაზში და მსურველებს საშუალება ჰქონდათ გამოფენა დაეთვალიერებინათ. ლექციის შემდეგ გაიმართა საინტერესო საუბარი კითხვა - პასუხის რეჟიმში. სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ საუბარში აქტიურობდნენ ჩვენი მოსწავლეები, რომელთა მიერ დასმულ კითხვებში ჩანდა წარმოდგენილი სალექციო მასალის ცოდნა. პოლემიკაში ჩაებნენ ისტორიკოსები. ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას და დაგვიტოვა იმედი,რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები გაგრძელდება თემათა მრავალფეროვნებით.

ღონისძიება თავისი საინტერესო რეზიუმეთი დაასრულა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა ბიბლიოთეკების გაერთიანებას საჩუქრად გადასცა 200 ეგზემპლარი წიგნი.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

"გახსენება შეხვედრას ჰგავს"

ცნობილი ქართველი ხელოვანისა და მუსიკოს-შემსრულებლის, სალამურის დიდოსტატის, კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი ანდამატივით იზიდავს დამთვალიერებელსა და სტუმარს... დიახ, ეს შესანიშნავი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დაარსების დღიდან /15 წელია არსებობს/ ერთგულად ემსახურება ხალხური შემოქმედებისა და ქართული ფოლკლორის აღორძინებასა და განვითარებას, მის პოპულარიზაციას. სწორედ ამ მიზნით მუზეუმში იკრიბებიან კავთისხევისა და მთელი კავთურის ხეობის საჯარო სკოლების მოსწავლეები და ახალგაზრდები, ხელოვნების თაყვანისმცემლები, მუზეუმი ხშირად მასპინძლობს უიშვიათეს სტუმრებს, აქ იმართება ფოლკლორული ღონისძიებები და ლიტერატურული საღამოები, ეწყობა შეხვედრები ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან...

სულ ახლახან კი, ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგისა და პოპულარიზატორის ომარ კელაპტრიშვილის გახსენების დღე გაიმართა, რომელსაც უამრავი სტუმარი დაესწრო, აქ იყვნენ დედაქალაქიდან სპეციალურად მოწვეული კულტურისა და ხელოვნების ცნობილი სახეები, კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები, მეცნიერები და მწერლები, კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, კავთისხევის საჯარო სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები, პედაგოგები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები...

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება /დირექტორი გივი მელაძე/ და კავთისხევის სახლ-მუზეუმი, სინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

მუზეუმში შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას, კავთისხეველებს, მოსწავლე ახალგაზრდობას მიესალმა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ენათმეცნიერი, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან ღვინჯილია, რომელმაც თავის რამდენიმეწუთიან გამოსვლაში შთამბეჭდავად და როგორც

ყოველთვის, ახლაც ემოციურად ისაუბრა დედა ენაზე, ქართული ანბანის უნიკალურობასა და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე, ბავშვებს, მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს მოუწოდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისაკენ და მან ომარ კელაპტრიშვილის მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი ნაშრომების კრებული. შემდეგ დამსწრეთა წინაშე წარდგა მწერალი, დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორი ბადრი ქუთათელაძე, რომელმაც მუზეუმს საჩუქრად გადასცა მისი ავტორობით გამოცემული სქელტანიანი წიგნი "ქართული ქანდაკებები", სადაც შეტანილია ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტის ფოტო, სხვათა შორის, ეს კულტურული ძეგლი დადგმულია ჩვენს დედაქალაქში ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სკვერში.

ღონისძიებას სტუმრობდნენ ქართველი კომპოზიტორები, ყველასათვის კარგად ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები ჯემალ სეფიაშვილი და ნუგზარ ერგემლიძე, რომლებმაც პატივი მიაგეს ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნას, გაიხსენეს მასთან გატარებული წლები და შემდეგ შეასრულეს პოპულარული საესტრადო სიმღერები... შეხვედრა გაალამაზა ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სამუსიკო სკოლასთან არსებულმა ხალხურ საკრავთა /"კავთურა", ხელმძღვანელები ნანა შალიტაური და ნინო აბულაძე/ ჯგუფმა.

... ამ ლამაზ ღონისძიებას ჰქონდა ორიგინალური დასასრულიც, საქმე ის გახლავთ, რომ კელაპტრიშვილების საამაყო შთამომავალს, კულტურის დიდი მოამაგის გერისო კელაპტრიშვილის შვილიშვილს, სატელევიზიო გადაცემა "მხოლოდ ქართულის" გამარჯვებულს გიორგი კელაპტრიშვილს ამერიკაში მოღვაწე გიგა ხორგუაშვილმა, კობა კობაურმა და ზაზა ბერძენიშვილმა გამოუგზავნეს სანუკვარი გიტარა, რომელიც მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე გადასცა აკაკი ბერიანიძემ და მანვე აუწყა მონატრებული თანამემამულეების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში? გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, გახდით ჩვენი მკითხველი!

ღონიერი მკლავით

20 წლის ჭაბუკი სპარტაკ გულიაშვილი წარმატებით გამოდის საჭიდაო ტურნირებში: შუა ივნისში მან ქ. ლენტეხში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა ახალგაზრდებს შორის ქართულ ჭიდაობაში, სამიოდე კვირით ადრე კი სპარტაკი გამარჯვებული გამოვიდა... მკლავჭიდელთა ასპარეზობაში, რომელიც შეტანილი იყო კასპში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საჩვენებელ კულტურულ-სპორტულ პროგრამაში.

მიეძღვნა ლავრენტი კაციაშვილის ხსოვნას

ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონისა და დამსახურებული მწვრთნელის, ყოფილი საბჭოეთის 4-გზის ჩემპიონისა და მრავალგზის პრიზიორის (ჭიდაობა სამბოში) – ლავრენტი კაციაშვილის (1927-2008) ხსოვნას მიეძღვნა ჭაბუკთა ტურნირი, რომელიც სპორტკომპლექსის დიდი დარბაზის არენაზე გაიმართა ივნისის დასაწყისში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს 10-მდე ქალაქისა და რაიონის 130-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი. ადგილობრივი ნორჩი სამბოელებიდან კვარცხლბეკის საფეხურებზე დადგომა მოახერხა 19 ყმაწვილმა, რომელთაგან გაჩემპიონდა ორი – ალეკო ხიზანბარელი და გურამ მეშველაშვილი.

ყაზახური ჭიდაობის კასპელი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი

ქართული ჭიდაობის ვეტერანმა ჩოხოსანმა მოჭიდავეებმა სოფელ მეტეხიდან – ზვიად ოდოშაშვილმა და კახა მამულაშვილმა – სასახელო გამარჯვებებით გაახარეს გულშემატკივრები. პირველმა ჩემპიონობა იზეიმა, ხოლო მეორემ ვიცე-ჩემპიონობა ყაზახეთის ქ. უსტ-კამენოგორსკში გამართულ "კურეშის" პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში.

ოთხი მედალი

მაისის ბოლოს ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) მსოფლიო პირველობის მე-10 გათამაშებაში (შოტოკან-კარატეში) მონაწილე კასპელმა მამაშვილმა ალექსანდრე და მარიამ მანძულაშვილებმა – საერთო ანგარიშში 4 მედალი დაიმსახურეს სხვადასხვა ასაკობრივ და წონით კატეგორიებში (აქედან 12 წლის მარიამის წილად 3 მედალი მოდის).

კრივის სავარჯიშო დარბაზი სოფელ ახალქალაქში

სპორტსმენები, რომელთაც კრივი და ძალისმიერი სპორტის სხვა სახეობანი იტაცებს, ამიერიდან აქ ივარჯიშებენ ენთუზიასტი მწვრთნელების, ოთარ თოიძისა და დავით ასლამაზაშვილის მეთვალყურეობით (შეგახსენებთ, წლევანდელი მარტის დასაწყისში ახალქალაქელმა 14 წლის მოსწავლემ, ლუკა ბარნოვმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა კიკბოქსინგში პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში).

სპორტკომპლექსის დირექციის (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) ძალისხმევით სოფელ ახალქალაქში მწყობრში ჩადგა კრივის სავარჯიშო დარბაზი. ადგილობრივი ნორჩი

პირველი მედალი პირველი საზღვარგარეთული შეჯიბრებიდან

სოფელ მეტეხის საჯარო სკოლის მოსწავლემ, 15 წლის სოსო ჟივიძემ, რომელიც სპორტკომპლექსის გამოცდილი მწვრთნელის, ნუგზარ მამულაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს, წარმატებით იჭიდავა გერმანიის ქ. ბერლინში გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში. თავისი პირველი საზღვარგარეთული შეჯიბრებიდან სოსო ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა.

ფეხბურთელების სურვილია გუნდს ოფიციალურად ეწოდოს "იმედი"

უკვე თორმეტი წელია, რაც ფუნქციონირებს სასირეთის საფეხბურთო გუნდი, რომლის ფეხბურთელებს კარგად იცნობენ აქაურები და არა მხოლოდ ისინი, რადგან ენთუზიაზმითა და ენერგიით აღჭურვილი ახალგაზრდები ყოველთვის აქტიურად, უდიდესი მონდომებით და ეფექტიანად მონაწილეობენ საპასუხისმგებლო თუ სხვადასხვა გამოსაჩენ ტურნირში... 2016-2017 წლებში სასირეთის საფეხბურთო გუნდმა ორი წელი ზედიზედ ასახელა ჩვენი რაიონი, ბევრს ემახსოვრება ალბათ, კოკა-კოლას გახმაურებული ტურნირი, რომელზედაც ბიჭებმა წარმატებას მიაღწიეს, დამსახურებულად გაიმარჯვეს რაიონის რამდენიმე სკოლასთან გამართულ საფეხბურთო შეხვედრაში, შემდეგ იყო რეგიონის ოთხ საფეხბურთო გუნდთან "ბრძოლა"...

აი, ასე, დამჯერებელი, ეფექტიანი წვრთნებისა და გააზრებული ასპარეზობების წყალობით გუნდმა რეგიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამას მოჰყვა კვარიათში გამართული საქართველოს ჩემპიონატი, სადაც საქართველოდან ამ პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობდა 1.200 სკოლა და თქვენ წარმოიდგინეთ, აქაც "ივაჟკაცა" სასირეთის საფეხბურთო გუნდმა და ამჯერად, მეოთხე ადგილს დასჯერდა.

სასირეთის საფეხბურთო გუნდისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 2017 წლის სპორტული სეზონი, როდესაც გუნდი /2003 წლის დაბადებულ მოასპარეზეთა შორის/ გახდა შიდა ქართლის ჩემპიონი... სხვათა შორის, იმავე 2017 წელს სახელგანთქმული ფეხბურთელების, ძმები არველაძეების ინიციატივითა და ორგანიზებით მუხრანში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 26 სხვადასხვა საფეხბურთო გუნდი, მათ შორის იყვნენ სასირეთის საფეხბურთო გუნდის ფეხბურთელებიც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ასპარეზობა იყო ძალიან დაძაბული და პრინციპული, ბიჭებმა მაინც მოახერხეს, ყველა თამაში მოიგეს და ჩემპიონობაც იზეიმეს.

– ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჟამად სასირეთის საფეხბურთო გუნდის მესამე თაობა აგრძელებს ესტაფეტას, რა თქმა უნდა, არ ვღალატობთ ერთხელ აღებულ კურსს, – აცხადებს სახელოვანი გუნდის მწვრთნელი ზურაბ ბეჟიტაშვილი, – აი, ახლაც აქტიურად ვმონაწილეობთ შიდა ქართლის ჩემპიონატში /2006-2007 წლებში დაბადებულთა შორის/ და იმედი გვაქვს გამარჯვების.

მომავალი წარმატების იმედი ნამდვილად არსებობს, გუნდი ძალიან კარგ ფორმაშია, დაგეგმილი განრიგის მიხედვით, დათქმულ დროს მიმდინარეობს ვარჯიში, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთელებისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ მათ ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ, ახალგაზრდა სპორტსმენები, მათი მშობლები გრძნობენ სისტემატურ დახმარებას, თანაგრძნობასა და მხარდაჭერას, ამისათვის კი, ისინი უდიდეს მადლიერებას უცხადებენ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, აგრეთვე, სპორტის დაწესებულებების გაერთიანებას. ცნობილი გახდა ისიც, რომ გუნდის მწვრთნელი გეგმავს /შობლების დაჟინებული თხოვნით/ მომავალი წლის სექტემბრიდან კიდევ ერთი ჯგუფის გახსნას და მასში გაერთიანდებიან 2010-2011 წლებში დაბადებული ბავშვები...

და მაინც, ფეხბურთელების დიდი სურვილია, ამას ითხოვს აგრეთვე, სოფლის აქტივი და საზოგადოება, სკოლა, რომ სასირეთის საფეხბურთო გუნდს ოფიციალურად ეწოდოს "იმედი".

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

პასუხად სტატიას „ვინ იყო ყირიმელთა რძალი „ერისტოვნა?"

ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის თანამშრომლები განსაკუთრებული ინტერესით გავეცანით ქალბატონ თამარ გაბოძის სტატიას "ვინ იყო ყირიმელთა რძალი "ერისტოვნა?", გაზეთი "ახალი განთიადი", №9, 2018 წ.

სტატიაში ავტორი მოგვითხრობს ლამისყანელი ელენე ერისთავისა და მისი ყირიმელი მეუღლის პავლე პოპოვის შესახებ.

თორნიკე (იგივე ალექსანდრე) ერისთავის (1779-1860) უფროსი ქალიშვილი ელენე ერისთავი (1808-1882) გათხოვილი იყო ყირიმელ გენერალ-მაიორ პავლე პოპოვზე, ამაში ვეთანხმები ქ-ნ თ. გაბოძეს, მაგრამ ვერაფერით დავეთანხმები იმაში, თითქოს თორნიკე ერისთავმა უმცროსი ასული ნინო ერისთავი (1814-1887) ყირიმელი სიძის სიმდიდრის გამო დაასახელა ერთადერთ მემკვიდრედ.

პირადი პატივისცემის მიუხედავად, ვერც იმაში დავეთანხმები ქ-ნ თამარს, თითქოს ქმარზე ადრე გარდაიცვალა ელენე ერისთავი-პოპოვა, რასაც მტკიცებითი ფორმით გვეუბნება სტატიის დასასრულს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, №81, მასალა №281, დაცულია ალექსანდრე (თორნიკე) ევსეის ძე ერისთვიშვილის (ერისთავის) ანდერძი, რომელშიც ვკითხულობთ (სტილი ყველგან დაცულია):

"წელსა 1845, ივნისი 1 დღესა, საქართველო-იმერეთის ღუბერნიის მემამულემან, ქართველმან თავადმან ალექსანდრე თორნიკე ევსეის ძემან ერისთვიშვილმან და ასულმან მისმან, ქვრივმან ღენერალ-მაიორისამან ელენე ალექსანდროვნა პოპოვამ, შობით ერისთვიშვილმან დავსწერეთ წერილი ესე, რომლითაც მე ერისთვიშვილმან, რაცა მქონდა უძრავ ქონება, წილად ნარგები შემდგომ მამისა თავადის ევსეი ევსეის ძისა ერისთვიშვილისა, ჩემდა სამკვიდროდ, მდებარე საქართველო-იმერეთის ღუბერნიის, გორის უეზდის ქსნის ხეობასა შინა სოფლებში ლამისყანაში და ხვითში, ძეგლევში, ქურთში (ანდერძში ჩამოთვლილია საკმაოდ ვრცელი სია მამულებისა და გლეხებისა. ს.ც-ფ.) მივეცი ჩემს ღვიძლ ქალს და მხოლოსა მემკვიდრესა ნინო ალექსანდროვნას მე ალექსანდრე თორნიკე ერისთვიშვილმა სრულებით ზემო ამისა წარწერილნი მამულები თავისის ყმებით. ხოლო მე ელენე პოპოვას ამ ზემოხსენებულს მამულებზედ ხელი არ შემივა არც ეხლა და ან არც შემდგომ ამისა, მისთვის რომ მე დროსა მითხოვებისასა ქმრისადმი მივიღე მშობლისა ჩემისაგან შესაფერად მამულისა ამის ფული. ამის შემდგომ დაწერისა წერილისა ამის მამული ესე შევალს სრულს და მხოლოს მფლობელობასა ნინო ერისთვის ქალისა..."

მომდევნო დოკუმენტში ვკითხულობთ: "ანდერძი დამტკიცებული აკტითა, სანკტპეტერბურღის პალატასა შინა სამოქალაქოს სუდის ბ – ეს დეპარტამენტში 10 ივლისის დღეს, 1845 წელს, №31". თორნიკე ერისთავის ანდერძით ვიცით, რომ 1845 წელს "ღენერალ-მაიორშა ელენა პოპოვა" ქვრივია იგი ამდროს 37 წლისაა და ხელწერილით ადასტურებს, რომ "დროსა მითხოვებისასა ქმრისადმი მივიღე მშობლისა ჩემისაგან შესაფერად მამულისა ამის ფული". როგორც ვხედავთ, თორნიკე ერისთავმა ყირიმში გათხოვილ უფროს ქალიშვილს მზითვში ნაცვლად მამულებისა მათი საფასური მისცა. ამიტომ მან დაასახელა ერთადერთ მემკვიდრედ უმცროსი ასული ნინო და არა იმიტომ, რომ" ... აუცილებლად ეცოდინებოდა უკრაინაში ელენეს ქონება-მამულების ფაქტი".

რაც შეეხება ელენე ერისთავი-პოპოვას გარდაცვალებას, ამის სრული სურათის აღდგენა შეგვიძლია ზემოთ აღნიშნულ ფონდში დაცული წერილებით. 1882 წ. ივნისში ელენე ერისთავი-პოპოვა სიმფეროპოლიდან წერილით ატყობინებს დას ნინო ერისთავს თავისი ავადმყოფობის შესახებ. ნინო დაუყოვნებლივ მიემგზავრება ყირიმში დასთან. თავის ამბებს ნინო ერისთავი წერილებით ატყობინებს რძალს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს:

"წელსა, 1882 სა, ივნისის 28-სა, სიმფეროპოლით.

შენი ჭირიმე მაშაჯან.

ფოთიდამ წიგნი მოგწერეთ. ჩემს ამბავს იმითი სცნობდით. ფოთიდამ პატარა პარახოდით წავედით იაზონით ბათუმამდის. იქიდამ რვა საათზე წამოვედით... კარგად მივედით პარასკევს სევასტოპოლს დილით. ვდგევარ დაღონებული, ამ დროს დავინახე ვასილის გამოგზავნილი, ტაველის უპრავიტელი. მითხრა ვასილ პავლოიჩმა გამომგზავნა თქვენთანა ღენერალმა კარგათ არისო. რასაკვირველია დიდათ მიამებოდა. წამოვედით ვაგონით. საღამოს ცხრა საათზე მოველ სიმფეროპოლს. ვასილ რომ დამხვდა ვაგზალში თავის შვილებით დიდათ მიამა. ჩემი და ელენე უკეთ დამხვდა ღ...თის მოწყალებით. ძალიან სუსტათ არის. დიდათ იამა ჩემი ნახვა. ელენემ ვასილმა შვილებით მოგიკითხეს".

"წელსა, 1882 სა, ივლისის 18-სა, ტაველით, უსაყვარლესო შვილო მაშაჯან!

... ელენე ბევრათ უკეთ არის, მაგრამ ჯერ არ მიშვებს, სუსტათ არის კიდევ... მარტო არ ვართ, ჩემთვის და ელენესთვის ვასილი და იმისი შვილები თორემ სხვები რათ მინდა. ბევრს გაკოცებთ შენა და საშას. შენი ხილვის მოსურნე დედა ნინა" (საშა იგივე ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, შვილი ნინო ერისთავისა).

წელს, 1882 სა, სეკდემბრის 15 სა, ვასილევა

უძვირფასესო შვილო მაშაჯან, შენი უწიგნობა მაწუხებდა, მეც ვეღარ მოგწერე, ჩემი დის ავათ მყოფობა ძალიან მაწუხებს. პირველს ამ თვეს ვასილი ყმაწვილებით წავიდა სიმფეროპოლში. დღეს მოველით.

წელსა, 1882 სა ნოემბრის 2 სა " ვასილევით

შენი ჭირიმე მაშაჯან, არ ვიცი რა მოგწერო როგორ შეგაწუხო, ვიცი შენი ამბავი როგორც სწუხარ ჩემს ძვირფას დისთვის, ვაიმე მაშაჯან, ისე დავკარგეთ რომ მე და ანეტას ხელში გვეჭირა და ველაპარაკებოდით. თურმე ის აღარ იყო... როგორც კარგი და კეთილი იყო ისე დამშვიდებული მიაბარა სული თავის ღ...თის მშობელს... გუშინ ჩემი საშა მოვიდა, ვისაც იამებოდა იმან კი ვეღარ ნახა, დღეს წირვასა და პანაშვიდზე ვიყავით საშათი, ორმოცამდინ ყოველ დღე წირვა და პანაშვიდი იქნება. ჩვენც დავდივართ. ვასილი წავიდა სიმფეროპოლს შვილებით, სწავლას მოსცდებოდნენ იმიტომ წავიდა, ორმოცისათვის ისევ მოვა".

როგორც ვხედავთ, ელენე ერისთავი-პოპოვას გარდაცვალების თარიღი ცნობილია ... 1882 წლის ოქტომბერი. ამ დროს ის 74 წლის იყო და, ცხადია, ლეგენდა, რომელიც უკრაინაში სოფელ შიროკოეში დღემდეა შემონახული, ელენეს არ უკავშირდება. ჯამბაკურ-ორბელიანთა შთამომავლების საოჯახო ფოტოალბომებში ელენე ერისთავის ფოტოცაა დაცული.

მაშ ვინ იყო ლეგენდად ქცეული "ერისტოვნა"?

რომელიმე მკვლევარი ამ კითხვას გასცემს ალბათ პასუხს. მე კი ერთის თქმა შემიძლია: ნინო ერისთავმა დის ავადმყოფობისა და გარდაცვალების დროს ლამის ნახევარი წელი ყირიმში გაატარა. საქართველოში შვილს და რძალს ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანებს მუდმივად წერილებს სწერდა. წერილებში დისშვილს "ღენერალ ვასილ პავლოიჩს" ყველგან შვილებით მოიხსენიებს: "ვასილ თავისი შვილებით დამხვდა", "ვასილმა შვილებით მოგიკითხეს", "ვასილ ყმაწვილებით წავიდა" და ა.შ. გენერლის მეუღლე ერთხელაც ნახსენები არსად არის. თუ ვასილ პოპოვის მეუღლე იმ დროს ცოცხალი იყო, ნინო ერისთავი მას ერთხელ მაინც არ ახსენებდა?

არანაკლებ ინტერესს იწვევს ლამისყანაში ვარდისალვთისმშობლის ეკლესიასთან მდებარე საფლავის ქვების ეპიტაფიები პოპოვების ოჯახთან სიახლოვე-მსახურებაზე რომ მოგვითხრობენ. თუმცა, ეს ცალკე კვლევისა და წერის თემაა.

სოფიო ცუცუნაშვილი-ფალეხიძვილი.

„საამილახვრო" — ფინალურ ტურში

დასასრული

ში და აქაც მიიპყრო სპეციალისტთა და მუსიკოს-შემსრულებელთა ყურადღება, დიახ, ჟიურის გადაწყვეტილებით ანსამბლი დაჯილდოვდა დიპლომებითა და სიგელებით.

უწინდელზე უფრო მეტი მონდომებითა და ენთუზიაზმით აგრძელებენ რეპეტიციებს გუნდის წევრები: ნიკა ოქროპირიძე /სოლისტი/, ლუკა ოქროპირიძე, საბა ნინოშვილი, ნია ქენქაძე, ქეთი ჩიმახიძე, მარი ბალაშვილი, სალომე ნონიკაშვილი, გიორგი პავლიაშვილი, მარიამ ახვლედიანი. ყველა დარწმუნებულია, რომ "საამილახვროს" შემდეგი საკონცერტო გამოსვლა ძალიან გაახარებს მაყურებელს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.



ალი და ნინო

2019 წლის 31 მაისს კასპს სტუმრობდა ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. კულტურის ცენტრის სცენაზე მაყურებელმა აზერბაიჯანელი მწერლის ყურბან საიდის ცნობილი რომანის მიხედვით დადგმული სპექტაკლი "ალი და ნინო" იხილა. წარმოდგენილი იყო არისტოკრატული ჩამომავლობის ჭაბუკის ალი შინვანშირისა და ქართველი თავადის ასულის ნინო ყიფიანის სიყვარულის ისტორია. მსახიობები კმაყოფილმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით და ოვაციებით გააცილა.



მირგორიდი – მეგობრობის დედაქალაქი



დ. გურამიშვილი (1705-1792) სიჭაბუკეში ს. ლამისყანიდან გაიტაცეს მოთარეშე ლეკებმა. დაღესტნის ს. ოსოქოლოდან ტყვეობას თავდაღწეული დავითი რუსეთში, მოსკოვში შეუერთდა 1724 წელს იქ დიდი ამალით ემიგრირებულ ვახტანგ VI-ს. ვახტანგი რომ გარდაიცვალა, მის გარემოცვას შესთავაზეს რუსეთის ქვეშევრდომობა, ან საქართველოში დაბრუნება... ქართველები იძულებით დარჩნენ... 1738 წელს მათგან შეიქმნა ქართველ ჰუსართა მირგოროდის პოლკი, რომელშიც დ. გურამიშვილმა 22 წელი იმსახურა. მე-18 ს. 30-იან წლებში რუსეთის მთავრობამ გრძელვადიანი სამსახურისათვის ქართველი ჰუსარები დაასაჩუქრა მამულებით უკრაინაში. დ. გურამიშვილმაც მიიღო 30 კომლი ყმით მამული, – 20 კომლით ქ. მირგოროდში, 10 კი მახლობელ ს. ზუბოვკაში. თადარიგში პორუჩიკის ჩინით გასული, 1760 წლიდან დავითი გარდაცვალებამდე – 1792 წლის პირველ აგვისტომდე – ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მირგოროდში. მან აქ შექმნა "დავითიანი"... აქვე დავითმა არა მხოლოდ შეისისხლხორცა უკრაინული ფოლკლორიც, არამედ თვითონაც იქცა უკრაინული ლიტერატურის განუყოფელ პერსონაჟად...

ბევრი ქართველი მწერალი ეძებდა დ. გურამიშვილის საფლავს მირგოროდის პოლკის ტერიტორიაზე, მაგრამ უშედეგოდ. 1939 წელს უკრაინელმა მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა აღმოაჩინა ფასეული დოკუმენტებიც და დავითის საფლავიც, სადაც 1949 წელს დაიდგა მარმარილოს ობელისკი. 1955 წელს მირგოროდის ცენტრში ახალ შენობაში გაიხსნა დავით გურამიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა... დავითის ქუჩაცაა და სკოლაც...

1969 წლის მაისში უკრაინაში, კიევში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა ჩატარდა. 12 მაისს კი მირგოროდში საზეიმოდ გაიხსნა დ. გურამიშვილის სახელობის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. იმავე დღეს მუზეუმთან საბურველი ჩამოეხსნა დნეპრის რუხი გრანიტის ძეგლსაც (ავტორები ა. ნიმენკო და ნ. ობეზიუკი, არქიტექტორი ვ. ჟიგულინი). ესწრებოდნენ დეკადის მონაწილე ქართველი პოეტები – გ. აბაშიძე, ხ. ბერულავა, კ. კალაძე, პროფ. ა. ბარამიძე. მუზეუმის შექმნაში მონაწილეობდნენ კიევის ტ. შევჩენკოს, კიევის უკრაინული ხელოვნების და პოლტავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; საქართველოდან ს. ჯანაშიას მუზეუმი, თბილისის სამხატვრო აკადემია, კინოსტუდია "ქართული ფილმი" და შ. რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი...

1975 წელს ს. ლამისყანაში გაიხსნა დ. გურამიშვილის წყარო-მემორიალი, ხოლო 1976 წლიდან კი დაწესდა სახალხო დღესასწაული "გურამიშვილობა"...

1977 წელს "გურამიშვილობის" ინფორმაციას გაზ. "ზარია ვოსტოკაში" მირგოროდშიც გასცნობიან. დავითის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ლუდმილა როსსოხამ ზეიმის ყველა – ათამდე – მონაწილეს მისწერა წერილი თხოვნით, დაწვრილებით მოეთხროთ ღონისძიებაზე. წერილი მე-3 სკოლის მისამართზე მივიღე, როგორც მონაწილე მასწავლებელმა. შემდეგ გაირკვა, რომ მხოლოდ ჩემგან მიუღიათ საპასუხო – ერთადერთი წერილი კასპიდან გავუგზავნე 1975, 1976, 1977 წლების "გურამიშვილობის" ფოტოკადრებიც, მონაწილენი, ზეიმის მსვლელობაც, ამანათებიც – ფოტოალბომი, პრესა, ქართული წიგნები...

ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენი პირადი ურთიერთობით დიდ მეგობრობას კასპსა და მირგოროდს შორის. მიმოწერით ერთი წლის გაცნობილი მეგობარი პირადად მოვიწვიე მომავალ "გურამიშვილობაზე". ლ. როსსოხა 1978 წლის სექტემბერში ჩამობრძანდა ჩემთან ოჯახში კასპში, იყო ლამისყანაში. ის "გურამიშვილობა" საქართველოს ტელევიზიის დოკ. ფილმების სტუდიამ გადაიღო, ფირი ინახება მირგოროდში. 1978 წლის გაზაფხულზე მე-3 სკოლაში მივიდა მირგოროდის კულტურის განყოფილების და მუზეუმის ერთობლივი საპატიო სიგელი ჩემ სახელზე – ჯილდო შემკრებლობით მუშაობაში აქტიურობისათვის.

მომდევნო, 1979 წელს მეც მიმიწვიეს მირგოროდში. იქ გავიცანი "ვახტანგის დროის" (1724 წ.) ქართველ ემიგრანტთა შთამომავალი, პოეტი, მირგოროდის მე-3 სკოლის ფილოლოგი ტატიანა ოდიშელიძე. ორმა ქართველმა და კოლეგამ ჩვენი სკოლებიც დავამეგობრეთ, რაც 40 წელია გრძელდება. 1955 წელს, დ. გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავზე მირგოროდელ პოეტ ნატალია ხარასაილოსთან ერთად საგურამოში ყოფილა. მისთვის უჩუქებიათ ქართული კაბა, რაც დავითის მუზეუმის ექსპონატია. მირგოროდელებს ვაჩუქე საოჯახო რელიკვია – ქალამნები და დ. გურამიშვილის სპორტული თასი ცნობილი ფალავნის – დ. გოგიბედაშვილის პირადი კოლექციიდან... (1979)

1992 წლის პირველ აგვისტოს, დ. გურამიშვილის გარდაცვალების 200 წლისთავზე, რაც მუზეუმმა იქ ძალიან ღირსეულად აღნიშნა, ლამისყანის მუზეუმისათვის გამომატანეს მირგოროდელი მხატვრის ვ. ბრიკულეცის ტილო "დავითის შეხვედრა ზუბოვკელ ქალთან", ვაჩუქე ლამისყანას პირადი ფოტოქრონიკაც... მირგოროდელებს გაეხარდათ, რომ "ლიტერატურულ საქართველოში" ამაზე ჩემი სტატიაც გამოქვეყნდა (25.12.92) – "შესანდობარი მირგოროდშიც ითქვა"...

1999 წელს გამოქვეყნდა ჩემი ისტორიული ნარკვევების კრებული "ლამისყანიდან მირგოროდამდე", რაც მიეძღვნა დ. გურამიშვილის მირგოროდის მუზეუმის 30 წლისთავს. 1972 წლიდან დღემდე ათობით სტატია გამოვაქვეყნე 40-მდე ქართულ ჟურნალ-გაზეთში, როგორც ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარმა.

1980 წელს მდინარე დნეპრში ჩაეშვა თბომავალი "დავით გურამიშვილი", რომლის ერთ კაიუტაშიც გემის კაპიტანმა განათავსა (მოძრავ მუზეუმში) ჩემი ფოტო მასალები "გურამიშვილობა 1976-1979 წწ". მე ვესწრებოდი ქალბატონ ლუდმილა როსსოხას 50 წლის იუბილეს.

ქალბატონმა ლუდმილამ დიდი ამაგი დასდო დ. გურამიშვილს. მან უკრაინაში საქართველოს წლად გამოცხადებულ – 2005 წელს, დავითის დაბადებიდან 300 წლისთავზე – წიგნად გამოსცა თავისი ოცდაათწლიანი ნაშრომი, მე ვთარგმნე ქართულად ეს წიგნი – "დავით გურამიშვილის გზებით", მაგრამ მუზეუმის 50 წლის იუბილეს უწიგნოდ შევხვდი. მახარებს ის ფაქტი, რომ მირგოროდის დავითის მუზეუმის ხუთიდან ოთხ ყოფილ დირექტორს პირადად ვიცნობდი. მეხუთეს, დღეს, ტელეფონით ვეკონტაქტები, 18 მაისს იუბილეც მივულოცე – მოვასწარი ზეიმზე უკრაინაში საქართველოს ელჩის შესვლამდე!.. მახსოვს პირველი დირექტორის, ივანე გურინის გაბრწყინებული სახე, მის 90 წლის იუბილეზე ქართველი ხალხის სახელით მადლობა რომ გადავუხადე. გულაჩუყებულმა თავისი გამოუქვეყნებელი ხელნაწერებიც კი მაჩუქა... ი. გურინმა 1968 წელს დ. გურამიშვილის მუზეუმის პირველი ექსპონატებისათვის საქართველოშიც იმოგზაურა და მოგვიანებით კი შექმნა სამეცნიერო ნაშრომი "დ. გურამიშვილის "დავითიანის" რითმების ლექსიკონი მ. ბაჟანის თარგმანის მიხედვით"...

50 წლის მანძილზე დ. გურამიშვილის მირგოროდის – დღემდე ერთადერთმა სტაციონარულმა მუზეუმმა – იუბილარმა, თითქმის სამ მილიონამდე ვიზიტორს გააცნო როგორც დავითის შემოქმედება, ისე საქართველოს კულტურა და ისტორია.

მირგოროდი (ითარგმნება როგორც "მშვიდობიანი ქალაქი" – თ.გ.) ჭეშმარიტად მშვიდობიანი მისიით და უკრაინაში ქართული კულტურის ჩაუქრობელი კერით – დავითის მუზეუმით – სამართლიანად ითვლება მეგობრობის დედაქალაქად. (ასე მოიხსენიება პრესაში) ამ საკავშირო ბალნეოლოგიური კურორტის ყოველწლიურად 50 ათასი დამსვენებელი დავითის მუზეუმსაც სტუმრობს.. მირგოროდში ხომ დავითმა სრული 54 წელიწადი იცხოვრა ომიან-მშვიდობიანად... უკრაინამ აქ შეიყვარა ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი – მირგოროდის მოქალაქე.

და დავით გურამიშვილმა – ისტორიული სამშობლოს თანამდევმა სულმა უკვდავმა, თან ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალმა – უკრაინაც გულწრფელად შეაყვარა საქართველოს!

... უკრაინაც და საქართველოც, ორივე, ღვთისმშობლის წილხვედრია! და იქნებ არის რაღაც საკრალური, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ამოუხსნელი იმაშიც, რომ ქართული კულტურის მადლიანი კერა უკრაინის მადლიან მიწაზე 12 მაისს დაიბადა!..

... გულითადად ვულოცავ მირგოროდის მუზეუმს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს!

მეგობრობის ახალი ღირსეული ფურცლებისა და მომავლის იმედით!..

თამარ გაბოძე.

ღია ცის ქვეშ

თექის ნამუშევრებითა და ნახატებით დამშვენებულ კოპწია ეზოში გამართეს წლის შემაჯამებელი კონცერტი კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის / მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი /გიტარის შემსწავლელი წრის მოსწავლეებმა... რა თქმა უნდა, კონცერტს ბევრი მსმენელი ჰყავდა, მაგრამ არც სპეციალურად მოწვეული სტუმრები აკლდა, აქ იმყოფებოდნენ განათლებისა და კულტურის მუშაკები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, მათი მშობლები.

წლებია, ფუნქციონირებს მოსწავლეთა სახლში წრე და როგორც ამბობენ, დაარსების დღიდან ბევრმა გამოთქვა მუსიკის შესწავლის სურვილი. გასახარია, მართლაც რომ სასიამოვნო ფაქტია ის, რომ გიტარის შემსწავლელ წრეში გაერთიანებულია ჩვენი ქალაქის საჯარო სკოლებისა და გიმნაზიის მოსწავლეები, მარტო კასპელი მოსწავლეები კი არა, სოფლების: მეტეხის, კავთისხევის, ლამისყანის, ნოსტის უფროსკლასელი მოსწავლეებიც დადიან და სხვათა შორის, წრეში გაერთიანებულ ახალგაზრდებს შორის ბიჭები სჭარბობენ...

— წელს 33 მოსწავლე ირიცხება ჩვენთან, გვაქვს მრავალფეროვანი, ძალიან საინტერესო რეპერტუარი, — აცხადებს წრის ხელმძღვანელი ნინო ქენქაძე, — ბავშვისთვის ადვილად შესასწავლი რომ იყოს, თავიდან ვირჩევთ მარტივ სიმღერას, უმთავრესად კი, ქართველი კომპოზიტორების ნაკლებად ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებებს. საგულისხმო გახლავთ ის გარემოებაც, რომ მოსწავლეთა სახლის ახალბედა, დამწყები შემსრულებლები აქტიურობითა და ორგანიზებულობით გამოირჩევიან, ქალაქში, რაიონში არ ჩატარებულა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, კონცერტი ან კონკურსი, რომ ამ ბავშვებს მონაწილეობა არ მიეღოთ, უფრო მეტის თქმაც შეიძლება, ალბათ, ბევრს ემახსოვრება, შარშან კასპში გამართული სიმღერის რეზონანსული კონკურსი "და, სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი" — სადაც მოსწავლეთა სახლის მოსწავლემ ეთო მახარაძემ, როგორც იტყვიან, გაიბრწყინა და კონკურსის მიერ დაწესებული ჯილდოს პირველი ადგილის მფლობელი გახდა...

საზაფხულო არდადეგების დადგომამდე ბავშვები, რა თქმა უნდა, აგრძელებენ რეპეტიციებს, მათთვის ერთგვარი სტიმული, მოტივაცია გახლდათ ის ფაქტი, რომ წლის შემაჯამებელ კონცერტზე ბევრი შექება და აპლოდისმენტები დაიმსახურეს, თანაც, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებამ წრის ყველა წევრს ქების სიგელი გადასცა... კონცერტს ესწრებოდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, რომლებმაც დადებითად შეაფასეს მოსწავლეთა შემოქმედება და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

კობა გასიტაშვილი

ძვირფასო მამა, შენი გარდაცვალებიდან გასული წლები უფრო მეტად გვანატრებს ყველაზე ახლობელ ადამიანს ... ივნისი შენი დაბადების თვე იყო — (1954 წლის 7 ივნისი)! ვაგლახად, თურმე სამზეოდან გარდამავლობის თარიღადაც დათქმულ იყო (2002 წლის 5 ივნისი)...

ჩვენ ერთად ვიყავით, ერთმანეთს ვავსებდით, გულებს ვუთბობდით...

დღესაც გვათბობს, რომ შენი ცხელი გულის "საბრძოლო გზა" გადიოდა საამქვეყნო რამდენიმე "ფრონტზე":

— როგორც ჭეშმარიტ ქრისტიან მართლმადიდებელს, აღგიდგენია სამოჭალოს ეკლესია, შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი თეძმის ხეობაში; — როგორც ქართველ ტანბრგე ვაჟკაცს, დიდი გიორგი სააკაძის "როლი" განგისახიერებია 1995 წლის "თბილისობის" სახალხო დღესასწაულზე, თეთრ ბედაურზე ამხედრებულს შენი საყვარელი კასპიდან; — როგორც ჭეშმარიტ ქართველ წინაპართა მემკვიდრეს, ახალგაზრდობის წლებში კომბაინის საჭე გიტრიალებია და ყანა მოგიმკავს, მოწიფულობაში კი ომიანობა-მშვიდობიანობის პერიოდში პური ჩვენი არსობისა გამოგიცხვია და თვისტომნი დაგიპურებია: — როგორც ქართული არმიის ოფიცერს, სამხედრო წოდებით ვიცე-პოლკოვნიკს, აფხაზეთში გმირულად გიბრძოლია ლეგენდარული მეთაურის, ტარიელ შარიფაშვილის მხარდამხარ და, აკი, თქვენეული გამბედაობა-უშიშრობის გაუგონარ ამბებს დღესაც ამაყად გადმოგვცემენ მეგობარი თანამებრძოლები კასპის ბატალიონიდან.

მადლობა, ძვირფასო მამა, გაუხუნარი ხსოვნისათვის.

შვილები.

გამარჯვებული ,,არგონავტები,,

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეებმა წლის ბოლოს შემაჯამებელი გაკვეთილი განსხვავებული ფორმატით წარუდგინეს ერთგულ თაყვანისმცემლებს... ეს გახლდათ ინოვაციური პროექტი ვიქტორინის სახით, უფრო სწორად ეს იყო ერთგვარი "გამოცდა" მოსწავლეებისათვის, თუ როგორ დაიმახსოვრეს წლის განმავლობაში განხილული თემები.

ვიქტორინაში მონაწილეობდა ორი გუნდი: "არგონავტები" — კაპიტანი ნანა ილურიძე, წევრები თემურ ირემაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, ლუკა მერებაშვილი, მარიამ თიგიშვილი და სალომე სამხარაძე.

"მართვე" — კაპიტანი თამარ გოჭოშვილი, წევრები მიხეილ სამხარაძე, მარიამ მერებაშვილი, უჩა გოგოლაძე და ნინო ბერუაშვილი.

ვიქტორინას თავმჯდომარეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი, ხოლო წევრები იყვნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები: იზაბელა კობიაშვილი, თაკო წიკლაური და მოსწავლეთა სახლის ლიტერატურის წრის ხელმძღვანელი მანანა ყაბანაშვილი.

ეს ხალისიანი, ძალიან საინტერესო ვიქტორინა ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა, რომელსაც უძღვებოდა მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი. მოკლედ, "მოასპარეზე" გუნდებს, როგორც ჩვეულებრივ შეჯიბრს სჩვევია ხოლმე, ჰყავდა გულშემატკივრები, რომელთა შორის იყვნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები ანი როსტიაშვილი და ნათია ბურდული, ბავშვებს გულშემატკივრობდნენ აგრეთვე, ღონისძიებაზე სპეციალურად მოსული სტუმრები და მოსწავლეების მშობლები.

ერთი სიტყვით, გუნდებს შორის შეჯიბრი დამთავრდა ანგარიშით: 10:9, ვიქტორინის გამარჯვებული გახდა გუნდი "არგონავტები", თუმცა, დამსწრე საზოგადოებამ ვიქტორინის ყველა მონაწილე გამარჯვებულად გამოაცხადა და დადებითად შეაფასდა წლის განმავლობაში მოსწავლეებისა და წრის ხელმძღვანელის მიერ გაწეული მუშაობა... ღონისძიების ბოლოს მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, ზაფხულის არდადეგებზე მოაწყობენ ექსკურსიებს მშობლიური მხარის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლების გასაცნობად, რა თქმა უნდა, ამით განიმტკიცებენ ცოდნას, უახლოეს დღეებში კი, ბავშვები კიდევ ერთხელ ესტუმრებიან მაცხოვრის ეკლესიას კასპში.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,!

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწყაროს საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის პედაგოგი

მანანა დალაქიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქვემო გომის საჯარო სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი

ნათელა მერკულოვი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქვემო გომის საჯარო სკოლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგს მაია რევაზიშვილს შვილის

გიორგი ოთარაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76